პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

31 ოქტომბერი, შაბათი, 1987 წ. № 18 (3020) ◆ 31 ОКТЯБРЯ, СУББОТА, 1987 г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

ТРУДЯЩИЕСЯ СОВЕТСКОГО СОЮЗА! ТВОРЧЕСКИ ОСУЩЕСТВЛЯЙТЕ РЕВОЛЮЦИОННОЕ ДЕЛО ПЕРЕСТРОЙКИ, ОБНОВЛЕНИЯ ЖИЗНИ ОБЩЕСТВА!

(ИЗ ПРИЗЫВОВ ЦК КПСС К 70-ЛЕТИЮ ВЕЛИКОЙ ОКТЯБРЬСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ).

## დიდი ილიას უკვდავსაყოფად




**23 ოქტომბერს** საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

აქ შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. მრავალი სტუმარი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის 27 ქვეყნიდან.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაულის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

ილია ჭავჭავაძის უკვდავი სიტყვა ბატონობდა ამ დღეს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში. სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა და სტუმართა მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები. გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელზეც აჟღერდა პოეტის ლექსებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები, ილიას მარად ცოცხალი სტრიქონები, მისდამი მიძღვნილი ლექსები. საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა უსაზღვრო სიყვარული მიაგეს დიდ წინაპარს, მის უკვდავ შემოქმედებას.

იმავე დღეს რესპუბლიკის მთავრობამ დარბაზობა გამართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის.

სახალხო დღესასწაულმა საგურამოსა და ყვარელში ღირსეულად დააგვირგვინა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. აქ გამართულ ზეიმებში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე.

## მიენიჭა საპატიო წოდება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს ამხ. **ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძეს** მიენიჭა საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი".

## დედაქალაქის მეცხრე დღეობა

**ყოველ** დღესასწაულს თავისი მიზანი აქვს. თბილისობა-87 თანამედროვეობას, დღევანდელობას ემსახურება. იგი არა მარტო იცავს დროის დამანგრეველი ზემოქმედებისაგან ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, არამედ ახლებურად აშუქებს ხალხის რევოლუციურ მემკვიდრეობას. სულიერი მემკვიდრეობის ხიდს დებს წარსულსა და მომავალს შორის.

თბილისელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი მხარს უსწორებენ გარდაქმნას, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა განახორციელონ თვისებრივი ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში. ამით აღინიშნა ჩვენი ახლანდელი დღესასწაულიც, რომლის სიხარული ქალაქელებთან ერთად გაიზიარეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა. სპეციალურად ზეიმზე ჩამოვიდნენ ბაქოს, ერევნის, სვერდლოვსკის, რიგისა და კრასნოდარის მხარის თბილისის რაიონის — იმ ქალაქების დელეგაციები, რომლებთანაც მეგობრობს თბილისი.

ზეიმში მონაწილეობდნენ: ამხანაგები: ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე. გ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ს. ემირიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი. ვ. მ. სირაძე.

(დასასრული მე-4 გვ-ზე).

# ЗАКОН

## СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

### о внесении изменений в Закон СССР «О порядке обжалования в суд неправомерных действий должностных лиц, ущемляющих права граждан»

Верховный Совет Союза Советских Социалистических Республик **постановляет:**

Внести в Закон СССР от 30 июня 1987 года «О порядке обжалования в суд неправомерных действий должностных лиц, ущемляющих права граждан» (Ведомости Верховного Совета СССР, 1987 г., № 26, стр. 388) следующие изменения:

1. Часть первую статьи 4 изложить в следующей редакции:

«Жалоба на действия должностного лица по усмотрению гражданина может быть подана в суд после обжалования этих действий вышестоящему в порядке подчиненности должностному лицу или органу либо непосредственно в суд».

2. Часть первую статьи 5 изложить в следующей редакции:

«Жалоба может быть подана в суд в месячный срок, исчисляемый со дня, когда гражданину стало известно о неправомерных в отношении него действиях должностного лица, либо со дня получения отказа в удовлетворении жалобы вышестоящим в порядке подчиненности должностным лицом или органом, либо со дня истечения установленного законом срока для рассмотрения жалобы»;

из части второй статьи 5 исключить слово «установленный»;

часть третью статьи 5 изложить в следующей редакции:

«Определение судьи об отказе в принятии жалобы может быть обжаловано и опротестовано по правилам гражданского судопроизводства».

3. Статью 9 изложить в следующей редакции:

«**Статья 9.** Обжалование и опротестование решения суда

Решение суда по жалобе может быть обжаловано и опротестовано по правилам гражданского судопроизводства.

Принесение протеста приостанавливает исполнение решения».

**Председатель Президиума Верховного Совета СССР**
**А. ГРОМЫКО.**
**Секретарь Президиума Верховного Совета СССР**
**Т. МЕНТЕШАШВИЛИ.**

Москва, Кремль.
20 октября 1987 г.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**29 октября состоялось заседание коллегии МВД ГССР. С информацией «О состоянии борьбы с квартирными кражами, выполнении соответствующих приказов МВД СССР, решений коллегии МВД ГССР по данной проблеме» выступил на коллегии начальник УУР МВД ГССР подполковник Т. Варданашвили. О ходе выполнения постановления бюро ЦК КП Грузии об укреплении дисциплины и социалистической законности в ИТУ, пресечении фактов попустительства воровским элементам, вовлечении их в трудовую деятельность членов коллегии проинформировал заместитель начальника УИТУ МВД ГССР полковник внутренней службы Г. Шония.**

**На коллегии были рассмотрены также результаты работы ГОРОВД республики по борьбе с преступлениями и правонарушениями на бытовой почве и вопрос награждения победителей социалистического соревнования в честь 70-летия Великого Октября и 70-летия советской милиции.**

## 29 ОКТЯБРЯ — ДЕНЬ РОЖДЕНИЯ ЛЕНИНСКОГО КОМСОМОЛА

## КМК В ДЕЙСТВИИ

С целью активизации служебной и общественной деятельности комсомольцев, молодых сотрудников милиции и пожарной охраны в 1936 году в органах и подразделениях внутренних дел Аджарской АССР было создано 18 комсомольско-молодежных коллективов, из них 11 в органах милиции, 7 — в военизированных пожарных частях.

**(Окончание на 2-х стр.).**



**НА СНИМКЕ:** члены комсомольско-молодежного экипажа коммунист Н. Агаларян, члены ВЛКСМ А. Концелидзе и З. Артмеладзе во время рейда по соблюдению паспортного режима.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**На днях состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел Грузинской ССР генерал-майор внутренней службы Ш. Горгодзе.**

**В ходе совещания были рассмотрены факты нарушений общественного порядка в Ланчхути на территории местного стадиона после окончания футбольного матча и вопросы готовности органов и подразделений к проведению юбилейных торжеств, посвященных 70-летию Великого Октября.**

**Присутствовавшие на совещании руководящие работники министерства заслушали информации начальника Оргинспекторского отдела МВД ГССР подполковника милиции К. Буджиашвили об оперативной обстановке в столице республики за 20 дней октября и начальника Секретариата МВД ГССР полковника внутренней службы И. Барского «О состоянии рассмотрения писем и заявлений граждан в МВД ГССР по итогам работы за 9 месяцев 1987 года».**

# КМК В ДЕЙСТВИИ

ОКОНЧАНИЕ

При подведении итогов социалистического соревнования по достойной встрече 70-летия Великой Октябрьской социалистической революции и 70-летия советской милиции победителями были признаны комсомольско-молодежные коллективы II отделения подразделения ППС Батумского ГОВД и II отделения II караула СВПЧ-31 имени Героя Советского Союза Виктора Кибенка.

За прошедшие 9 месяцев 1987 года при непосредственном участии членов КМК I отделения подразделения ППС (командир отделения — старшина милиции Т. Мгеладзе) было раскрыто 6 преступлений — все по «горячим следам», в отдел внутренних дел доставлено 92 нарушителя общественного порядка. Комсомольцами и молодыми сотрудниками подразделения ППС отработано по 80—90 часов по охране общественного порядка в счет личного времени.

В I-ом отделении подразделения ППС работают 2 сотрудника, награжденные знаком «Отличник милиции», один — «Отличник пограничных войск».

Члены КМК I отделения II караула СВПЧ-31 ОПО МВД Аджарской АССР (командир отделения сержант внутренней службы Р. Думбадзе) в свободное от службы время проверили около 300 жилых домов в частном секторе. По инициативе комсомольцев КМК было реализовано рацпредложение по усовершенствованию автолестницы (АЛГ-30) на пожарных автомобилях. За смелые и решительные действия, проявленные при тушении сложного пожара, командир отделения Р. Думбадзе был награжден медалью «За отвагу на пожаре». Оба этих КМК, как победители в социалистическом соревновании по итогам и 1-го полугодия т. г., были награждены переходящим вымпелом Аджарского ОК ЛКСМ Грузии и МВД Аджарской АССР.

**А. ДУРИХАНЯН,**
старший лейтенант милиции, инструктор политического отдела МВД Аджарской АССР.

## ГОРДИМСЯ ИХ ИМЕНАМИ



Почетное место в ряду первых советских чекистов, вписавших не одну славную страницу в историю советской милиции, по праву занимает комиссар милиции 3-го ранга Капитон Григорьевич Начкебия, более тридцати лет прослуживший в органах внутренних дел республики.

В 1921 году К. Начкебия начал работу в должности милиционера и прошел путь до заместителя народного комиссара внутренних дел Грузинской ССР по милиции. В разные годы К. Начкебия занимал ряд ответственных должностей, в том числе заместителя наркома ВД Аджарской АССР, руководил НКВД Абхазской АССР, избирался членом партбюро Управления милиции НКВД республики и депутатом Тбилисского городского Совета народных депутатов.

За добросовестную и самоотверженную работу К. Начкебия награжден ценными подарками МВД ГССР и рядом именное оружие, он награжден тремя орденами Красного Знамени, орденами Красной Звезды, Отечественной войны I степени, медалями «За оборону Кавказа», «За победу над Германией», «За трудовую доблесть» и многими другими правительственными наградами.

## КОМСОМОЛЬЦЫ ВОСЬМИДЕСЯТЫХ

# С МОЛОДЫМ ЗАДОРОМ



Многое у этого улыбчивого парня еще от армии. Строевая выучка, четкость ответов, строгий режим дня. Все это очень ему помогло на первых порах войти в новую ответственную должность — солдата правопорядка, часового городских улиц.

О работе в органах внутренних дел старшина милиции, комсомолец Вадим Кабулов мечтал еще в школе. Может, тут свою роль сыграло юношеское увлечение детективами, книгами о приключениях. С шестого класса увлекся боксом. Плотно сложенный, крепкий парень добился некоторых успехов — является кандидатом в мастера спорта. После окончания в 1980 году цхинвальской средней школы № 3 был призван в ряды Советской Армии, служил вдали от родных мест — на Дальнем Востоке. Не раз поощрялся командованием за отличную, образцовую службу.

Сразу после армейской службы сменил он солдатскую форму, на милицейскую. Сначала был определен в патрульно-постовую службу. Правда, поработал там недолго, но школа, которую он прошел в ППС, пригодилась в дальнейшем. Он хорошо узнал город, научился работать с людьми. А наука эта нелегкая: человек должен быть немного психологом, немного педагогом.

Очень повезло тут Вадиму с наставником. Его прикрепили к участковому инспектору Цхинвальского ГОВД, старшему лейтенанту милиции Н. Нарикаеву. Многое из своего богатого опыта передал наставник молодому сотруднику. И, главное, как считает сам Вадим Кабулов, научил работать с людьми. Вскоре примерного милиционера перевели помощником дежурного ГОВД.

Кому-нибудь, может, покажется, что работа помощника дежурного не интересна, но это как посмотреть. Не раз приходилось выезжать Вадиму вместе с оперативной группой на места происшествий, принимать активное участие в задержании преступников. Помнит случай, когда в одном из ресторанов между подвыпившими участниками хмельного застолья началась драка, вылившаяся в поножовщину. При виде милиции драчуны, а их было несколько человек, хотели было улизнуть, но не тут-то было. Двоих задержал Вадим — одного сразу, а за другим пришлось побегать. В этом своеобразном кроссе по пересеченной местности — темному парку, безлюдным улицам и переулкам, затихшим дворам — победителем вышел молодой милиционер. Помогли армейская выучка и занятия спортом.

Так постепенно к солдатскому багажу прибавлялся и чисто милицейский, и жизненный опыт, уверенность в своих силах. Отличной работой завоевал Вадим авторитет и уважение своих товарищей по службе, которые совсем недавно избрали его секретарем комсомольской организации Цхинвальского ГОВД. Есть у него и мечта — поступить в Тбилисский филиал Московской высшей школы милиции МВД СССР. Хочется пожелать ему успехов и в службе, и в жизни.

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
старший лейтенант милиции, инструктор прессгруппы политотдела УВД Юго-Осетии.

## ანგარიშით — მშობლიური კოლექტივის წინაშე

# შეხვედრა „ცენტროლიტში"

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა შინაგან საქმეთა ორგანოებში — თანამშრომლები გარკვეული დროის შემდეგ ანგარიშით წარსდგებიან იმ კოლექტივის წინაშე, რომელმაც მას რეკომენდაცია გაუწია. ახლახან ასეთი შეხვედრა ჩატარდა ქარხანა „ცენტროლიტში". მექანიკური საამქროს კოლექტივს ეწვია საგზაო-საპატრულო სამსახურის თანამშრომელი, რიგითი მილიციელი დ. ბასილაშვილი.

გასულ წელს ქარხნის მშრომელებისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით დ. ბასილაშვილი შს ორგანოებში გაიგზავნა. და აი, ერთი წლის თავზე იგი ანგარიშით წარსდგა მშობლიური ქარხნის კოლექტივის წინაშე. დ. ბასილაშვილი შეკრებილთ ესაუბრა ახალი სამსახურის სპეციფიურობაზე, იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მას აკისრია. მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. მშრომელთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე პასუხი გასცეს საგზაო-საპატრულო სამსახურის დანაყოფის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა რ. კენჭაძემ და ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ხარლამპიდიმ.



# კომუნისტურ შაბათობაზე

**მხოლოდ** საქმიანი განწყობა და შემართება იგრძნობოდა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე ჩატარებულ შაბათობაზე ა/წ 17 ოქტომბერს. შაბათობისთვის თითქმის მთელი კვირა ვემზადებოდით. წინასწარ განვსაზღვრეთ ჩასატარებელ სამუშაოთა ფრონტი. ყოველ ჯგუფს მიეცა კონკრეტული დავალება და გარეშე თვალს მართლაცდა კეთილი შურით შეშურდებოდა აქ გამეფებული ერთსულოვნება, ენთუზიაზმი და საქმისადმი ერთგულება. ერთი სიტყვით, ფაკულტეტზე შრომის ნამდვილი ზეიმი იყო. შესრულდა ტერიტორიისა და სპორტული კომპლექსის კეთილმოწყობის სამუშაოები, დასუფთავდა სასწავლო-ლაბორატორიული კორპუსები. ყველაზე დამკვრელური უბანი კი ჩვენი სკოლის სიამაყე, სპორტდარბაზი გახდა.

მათ შორის, ვინც კეთილსინდისიერად მოეკიდა საქმეს არიან ფაკულტეტის მსმენელები: გიგაური, მაიოროვი, რაკოვსკი, დრიაევი, ბერიძე და სხვები. ასეთ ამხანაგებს უნდა ვუსწორებდეთ მხარს თვითოეული ჩვენგანი.

**ვ. დოლბაია,**
პირველი კურსის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

# Реализуя программу «Здоровье»

**Большое внимание уделяется в нашей стране постоянному улучшению охраны здоровья и условий отдыха населения. О том, какая работа проводится в этом направлении в МВД ГССР, рассказывает сегодня в беседе с нашим корреспондентом председатель Объединенного комитета профсоюзных организаций министерства Е. Теплицкий.**

— **Ефим Борисович, каковы основные направления работы, проводимой по улучшению условий труда и быта сотрудников министерства?**

— Объединенный комитет профсоюзных организаций МВД ГССР совместно с руководством, парткомом и общественными организациями министерства в настоящее время проводит последовательную и целенаправленную работу по реализации комплексной отраслевой программы «Здоровье». Данная программа должна быть осуществлена в текущей пятилетке. Ее основные задачи заключаются в проведении целого комплекса важных социально-экономических мероприятий, направленных на совершенствование условий труда, охрану здоровья, улучшение оздоровительной и физкультурной работы, внедрение рационального режима труда и отдыха, совершенствование общественного питания, охрану окружающей среды.

— **Какие конкретно мероприятия проведены в настоящее время?**

— Проведена определенная работа по укомплектованию Медотдела МВД ГССР квалифицированными медицинскими кадрами. Лечебные заведения министерства пополнились современным диагностическим медицинским оборудованием отечественного производства, в том числе эхотомоскопом «Медиан», эхокардиографом «Узкар», аппаратом «Сапфир» и т. д.

Было улучшено состояние освещенности рабочих мест в производственных цехах, караульных помещениях и административных зданиях для 171 работника.

В результате выполнения запланированных мероприятий в прошлом году в системе министерства построены гардеробные на 355 мест (против плановых 351), 57 душевых (по плану — 50), улучшены условия температурного режима для 70 человек, снижен уровень загазованности и запыленности на 214 рабочих местах.

— **Все ли идет так уж гладко? Ведь на состоявшемся недавно заседании Президиума РК профсоюза работников госучреждений было высказано немало нареканий по поводу реализации программы «Здоровье» в системе министерства...**

— Да, действительно, следует отметить, что в нашей работе есть пока еще ряд проблем и серьезных недоработок.

В настоящее время по ряду причин не выполнено несколько пунктов программы «Здоровье» — из-за неимения штатных единиц не организовано диспансерное отделение в Республиканском госпитале на 25 коек и вневедомственная зуботехническая лаборатория в г. Кутаиси.

Все еще мало внимания уделяется на местах технике безопасности, охране и улучшению условий труда работающих. Так, например, в подразделениях УИТУ УИ-123/37, УИ-123/3, УИ-123/44 условия труда не отвечают требованиям ГОСТов, имеется запыленность и загазованность рабочих мест, не выполняется план по устройству гардеробных и душевых. В большинстве учреждений УИТУ МВД ГССР недостаточно посадочных мест в столовых.

В неудовлетворительном состоянии находятся условия труда и быта работников специализированного эксплуатационно - монтажного участка МВД ГССР и ряда подразделений пожарной и вневедомственной охраны республики. На устранение этих и других имеющихся недостатков и будут направлены наши усилия для успешной и полной реализации всех намеченных программой «Здоровье» мероприятий.

Беседу вел **А. Цатуров.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Советская милиция

Вышел в свет десятый в нынешнем году номер журнала «Советская милиция». Под рубрикой «Решения XXVII съезда КПСС — в жизнь!» в номере опубликованы материалы «Не терпит формализма!» начальника Управления кадров МВД СССР генерал-майора внутренней службы А. Аникеева и «Дорогой гласности» начальника пресс-бюро МВД СССР полковника внутренней службы Б. Михайлова.

Под рубрикой «Рядовые партии Ленина» напечатан очерк подполковника милиции В. Панченко «Всего дороже» о начальнике отделения БХСС Октябрьского РОВД г. Кишинева капитане милиции В. Апостоле. Несомненный интерес для читателей представляют подборка фотодокументов под общим заголовком «В буднях великих строек», рассказывающая о работе советской милиции в 30-х годах, и исторический очерк В. Полубинского «Посланец Дзержинского» — об одном из первых руководителей МУРа, члене партии большевиков с 1908 года А. М. Трепалове.

## „მტკვარი — 87"



ახლახან თბილისში დამთავრდა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ერთთვიური „მტკვარი-87". ამ ღონისძიებების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა. დროულად შეიქმნა შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ბერიძე, რაიონი დაიყო სამოქმედო სექტორებად, განაწილდა ფუნქციები.

გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა: სისხლის სამართლის, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის ათობით ფაქტი, ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვო და შენახვის წესების დარღვევის — 44, დროებით უმუშევარი — 90 (სამუშაოზე მოწყობილია — 68), მუქთახორა — 98 (54 მოეწყო სამუშაოზე), საპასპორტო რეჟიმის დამრღვევი — 86, ალკოჰოლისტი — 24 (18 გაიგზავნა იძულებით სამკურნალოდ), წვრილმანი სპეკულაცია — 13, გამოსაფხიზლებელში მოთავსდა — 78, წვრილმანი დატაცება — 37, გამოვლენილი ნარკომანები გაიგზავნა იძულებით სამკურნალოდ, ამოიღეს 56 ლიტრა თვითნახადი არაყი და სხვ.

აღნიშნული ფაქტების გამოვლენაში თავი გამოიჩინეს: რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის მაიორმა ჟ. ტაბატაძემ, უფროსმა უბნის ინსპექტორებმა, მილიციის მაიორებმა ა. ღვინიაშვილმა, ტ. სვიანაძემ, გ. კობერიძემ, ზ. ორჯონიკიძემ, ბ. ლაცაბიძემ, არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსმა, მილიციის კაპიტანმა მ. ბერიძემ, უბნის ინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა ჯ. ხანაიამ.

სურათზე: შტაბის ერთ-ერთ სხდომაზე.

რ. ანტონიანის ფოტო.

## მძარცველი დააკავეს

**16 ოქტომბერს**, საღამოს 10 საათზე, მტკვრის სანაპიროზე, თბილისის № 2 ტაქსამოტორების პარკის მძღოლს აშოტ დავითიანს ახალგაზრდა მგზავრი ჩაუჯდა და ჩეჩელაშვილის ქუჩისაკენ წასვლა სთხოვა...

$10.^{45}$ წუთზე კი ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში აწერვიულებული და ხიფათს გადარჩენილი დავითიანი ჩვენებას იძლეოდა.

— მძარცველმა დანა ამოიღო, დღიური გამომუშავებული ფულის მიცემა და მანქანის დატოვება მომთხოვა, არ დავემორჩილე წინააღმდეგობა გავუწიე, თვითონ კი ეხლა სადღაც იქ, იმ მიდამოებში იმალება.

უმალვე შემუშავდა ოპერატიული გეგმა და ორი ჯგუფი ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილის, მილიციის მაიორ გ. ქეშელაშვილის ხელმძღვანელობით მძარცველის დასაკავებლად გაემართა.

— ამ მიდამოებს კარგად ვიცნობთ, — გვითხრა ოპერაციის დამთავრების შემდეგ გ. ქეშელაშვილმა, მძარცველს ორი გზა ჰქონდა, ან იქვე უნდა მიმალულიყო, ან კიდევ ცენტრალური მაგისტრალისკენ ჩამოსულიყო და მანქანა გაეჩერებინა, მაგრამ მას ჩვენი თანამშრომლების: რ. ქობელაძის, გ. ბიგანიშვილის, ა. სტეფანიანის ოპერატიულმა მუშაობამ ყოველგვარი მოქმედების არე მოუჭრა და იგი დაკავებული იქნა. დამნაშავე აღმოჩნდა ადრე ნასამართლევი, თემქის დასახლებაში მცხოვრები ელგუჯა თიგიშვილი, დაბადებული 1964 წელს. სულ მალე მის „საგმირო" საქმეს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო გაარჩევს.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

16 октября сотрудниками ЛОВД ст. Кутаиси задержан З. Тавдидишвили, мастер Кутаисского УБОН, который от проводницы поезда № 35 Москва — Цхалтубо О. Коновой получил посылку, отправленную со ст. Харьков. Во время проверки посылки в ней оказалось наркотическое вещество — опийный мак весом 370 г. Отправитель указанного вещества устанавливается.

◆

25 октября в Глданский РОВД г. Тбилиси обратилась Н. Мерабишвили, проживающая з Глданском массиве, с заявлением о том, что 23 октября в дневное время неустановленный преступник через окно проник в ее квартиру и совершил оттуда кражу носильных вещей. Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками РОВД была установлена и задержана домохозяйка Н. Нареклишвили, краденое изъято.

◆

28 октября в Гардабанский РОВД с повинной явился разыскиваемый УУР МВД ГССР по всесоюзному розыску Г. Псутури.

## იშვიათად, მაგრამ ხდება



**იშვიათად** ხდება, ასაკოვანი, სამშობლოს, სამსახურის წინაშე ვალმოხდილი კაცი, ბედს უჩიოდეს, თავდადებით ემსახურო შენს საყვარელ საქმეს, ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და დამსახურებულად დაისვენო, რა უნდა ინატროს ადამიანმა მეტი, მაგრამ არიან ისეთებიც, რიგითი მოკვდავებისაგან განსხვავებულნი, რომლებიც საყვარელ საქმეს ჩამოშორებულნი ვერასოდეს გრძნობენ თავს ბედნიერად...

ეს მაღალფარდოვანი სიტყვები არაა და ამაში თქვენც დარწმუნდებით, თუ ერთხელ მაინც გაესაუბრებით შს ორგანოების ვეტერანს, მილიციის პოლკოვნიკ ვ. ჯაფარიძეს, კაცს, რომელმაც სამი ათეული წელი შეალია ჩვენი საზოგადოების სიმშვიდის დაცვის ურთულეს საქმეს.

ისეც ნუ გაიგებთ, აბა ენერგიით, აღსავსე კაცს უსაქმოდ რა გააჩერებსო, ბატონ ვახუშტის, როგორც შინაურულად ეძახიან, ახლაც საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია, იგი რესპუბლიკის საცალო-საბითუმო საქსაშენი მასალებით ვაჭრობის გაერთიანების დირექტორის მოადგილეა. ოჯახშიც ბევრი საქმე აქვს: შვილს — ლევანს, უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ასპირანტს, ქალიშვილს — მანანას, ექიმს, სიძეს — ორჯონიკიძის რ-ის შს განყოფილების უფროსის მოადგილეს შალვა იოსელიანს და შვილიშვილს, 13 წლის ჭაბუკა იოსელიანს მზრუნველი დამრიგებელი სჭირდებათ. ცხოვრებამ გაუმართლა ბატონ ვახუშტის, თუმცა...

— ალბათ ძნელია აუხსნა ახალგაზრდა თაობას რას ნიშნავს ჩამოშორდე არჩეულ პროფესიას, რამდენი მოსაგონარი გაკავშირებს მასთან — გულდაწყვეტით მითხრა ბატონმა ვახუშტიმ. ვ. ჯაფარიძეს გასახსენებელი მართლაც უამრავი აქვს: სვანეთში 16 წელიწადს ძებნილ კაცისმკვლელ აფრასიძეს თურმე საამშენებლო მასალები დასჭირდა, ჩეკისტმა კოსმეტიკური გრიმის გამოყენებით თავი ჯერ „ცემენტის მშოვნელ" კაცად გააცნო — შემდეგ ნამდვილი სახით. დამნაშავე საზოგადოებას ჩამოცილდა. მისი გამბედაობის წყალობით გააუვნებელყვეს მილიციის თანამშრომლის მკვლელის გიგაურის ბანდა. პენსიაში გასვლამდე ცოტა ხნით ადრე თავზეხელაღებული ბოროტმოქმედი, ქართლში სოთარეშე ბანდის ხელმძღვანელი დევაძე დააპატიმრა.

...ბანდიტს შემართული ნაგანი მილიციის თანამშრომლებისაკენ ჰქონდა მიშვერილი, ყველაფერს წამები წყვეტდა, საოცარი დაძაბულობა იგრძნობოდა ეპიზოდის მონაწილეების სახეებზე, არავინ იცოდა ეს „შეხვედრა" როგორ დამთავრდებოდა... რამდენიმე წამის შემდეგ ნირწამხდარი დევაძე თანამშრომლებს დანებდა...

— არ შეგეშინდათ ბატონო ვახუშტი? — შევეკითხე.

— როგორ არა, — დაუფარავად, ღიმილით მიპასუხა მან, — როგორია შენს ცხვირწინ იარაღის ლულას რომ უყურებ თავზეხელაღებულის ხელში, ისე დევაძე უფრო შეშინებული ჩანდა, ჩემი დამსახურება დიდი არაა, ყველა ოპერაციაში შს სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის გააზრებულმა, კარგად შემუშავებულმა გეგმებმა შეიწყო ხელი — დაამატა მან.

დიახ, გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს ბატონ ვახუშტის, იმდენად ბევრი, რომ გაზეთის ფურცლებზე მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი კი თვითონ გვთხოვა, აუცილებლად მოგვეხსენებინა მისი ხელმძღვანელები, თანამებრძოლი კოლეგები და მეგობრები: ვ. ოდიშვილი, მ. თარგამაძე, ა. ოსეფაიშვილი, ვ. სხიერელი, გ. გვეტაძე, რ. გვენცაძე, კ. დარსაძე, აწ. განსვენებულები შ. ფურცვანიძე, რ. ხვადაგიანი, აგრეთვე შს სამინისტროს ხელმძღვანელობა...

ერთს კი, ძალზე მოკლედ, ჩვენვე დავუმატებთ, რაც ერთ მოზრდილ საქაღალდედ ქცეულ მის ბიოგრაფიაში ამოვიკითხეთ: მილიციის პოლკოვნიკი ვ. ჯაფარიძე დაიბადა 1923 წელს ონის რ-ნ. სოფელ შარდომეთში. 1945 წლიდან არის სკკპ წევრი. 1949 წლიდან მილიციის რიგებშია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ზესტაფონში, ქუთაისში, მახარაძეში, რუსთავში, თბილისში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. პენსიაში გასვლისას მას რესპუბლიკის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა. იყო აგიტატორი, რედკოლეგიის წევრი, დაჯილდოვებულია მრავალი სიგელით, გამოცხადებული აქვს მადლობები. მიღებული აქვს მესამე ხარისხის მედალი და „მილიციის წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი... აი, ასეთია ბწკარებად ქცეული შინაარსიანად გავლილი ვ. ჯაფარიძის ცხოვრების გრძელი გზა. რამდენიმე დღეში მას კიდევ ერთი „გზა" — თბილისიდან მოსკოვამდე ექნება გასავლელი — მილიციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ვეტერანთა საკავშირო შეკრებაზე ჩვენ რესპუბლიკას თავისი წარმომადგენელიც ეყოლება.

ვ. ნადირაძე

**P. S. რედაქციაში სტუმრად მოსულმა ბატონმა ვახუშტიმ კითხვაზე, თუ რა განსხვავებაა თქვენს და ახლანდელ თაობებს შორის-მეთქი, მიპასუხა: „ორგანოში ადრე უმეტესად ისეთი ხალხი მიდიოდა, ვისაც გულით სწამდა არჩეული გზის სისწორე, წრფელი გულით უყვარდა პროფესია. ახალგაზრდებმა უნდა გაიგონ, რომ ემსახურო საყვარელ საქმეს ბედნიერებაა".**

**მენიშნა, განა შეიძლება ბედნიერი არ იყოს ის კაცი, ვინც ამ გზით სამი ათეული წელი იარა?**

## МЕДАЛИ «ЗА ОТВАГУ НА ПОЖАРЕ» — 30 ЛЕТ

## Эстафета мужества продолжается



...Зима 1963 года выдалась в Грузии особенно холодной. В ту ночь Омлету Гоголадзе, недавнему выпускнику Харьковского пожарно-технического училища, было не до сетований на непогоду. В самом центре города на проспекте Руставели горел Дом связи. Причем скрытое горение привело к тому, что пожар заметили, лишь когда пламя стало вырываться из окон четвертого этажа. К моменту прибытия пожарных обрушились перекрытия третьего и четвертого этажей, вход в здание оказался заблокированным так, что казалось: доступ к очагу усиливающегося пожара окончательно закрыт.

В этот критический момент О. Гоголадзе одним из первых шагнул к укрепленной на стене здания металлической лестнице. Сейчас, вспоминая этот эпизод, Омлет Самсонович улыбается: «Этот подъем запомнился на всю жизнь — ведь лестница практически целиком обледенела. Крепления были старые, часть из них вообще отсутствовала. Казалось, лестницу может снести первый же сильный порыв ветра. А ведь мы тащили наверх „рукава и стволы насосов, другие необходимые инструменты. В нормальных условиях это, пожалуй, невозможно было бы сделать».

Да, жизнь не часто дарит пожарным «нормальные условия» работы — наверное, поэтому так уважаем в народе труд этих людей. А в эту зимнюю ночь О. Гоголадзе с товарищами сделали почти невозможное — после подъема на крышу здания пожарные и оборудование на веревках спустились вниз, в самый очаг пожара. С четырех ночи до 11 часов утра находились пожарные в этом огненном аду и сумели-таки погасить пожар, не дав перекинуться пламени на близлежащие здания. Именно тогда О. Гоголадзе был награжден своей первой медалью «За отвагу на пожаре».

Сейчас за плечами заместителя начальника дежурной службы пожаротушения УПО МВД ГССР подполковника внутренней службы Омлета Самсоновича Гоголадзе уже тридцать лет службы, отмеченной многими благодарностями и правительственными наградами. И ни разу за эти годы Омлет Самсонович не испытал сомнений в правильности избранного жизненного пути. Выбор профессии был не случаен — ведь перед глазами юного тогда Омлета был пример отца, служившего районным пожарным инспектором в г. Боржоми.

После окончания пожарного училища, с 1961 года работает Омлет Самсонович в Орджоникидзевском районе Тбилиси. В 1967 году вступил в ряды КПСС, а через пять лет вновь был представлен к награждению медалью «За отвагу на пожаре» — после того, как проник сквозь окно в горящее здание и вынес из полностью задымленного помещения находившегося в глубоком шоке пожилого мужчину. Много еще подобных эпизодов в биографии Омлета Самсоновича, и всегда его волнует одна и та же мысль — скольких пожаров и вызванных ими бед можно было бы избежать, если бы не халатность некоторых работников, пренебрегающих правилами пожарной безопасности. Можно было избежать и давний, но памятный своей серьезностью пожар в Сартичала, когда вспыхнувший во время разведочного бурения пожар охватил территорию до 5 гектаров. Двадцать дней О. Гоголадзе и его товарищи, совместно с прибывшими из Баку пожарными подразделениями, боролись с огнем и, в конце концов, победили его. Тогда О. Гоголадзе и был награжден третьей медалью «За отвагу на пожаре».

Сумел О. Гоголадзе привить любовь к профессии пожарного и сыну, который сейчас заканчивает службу в Вооруженных Силах СССР и так же, как в свое время отец, собирается поступить в Харьковское пожарно-техническое училище. Так что, по видимому, семейная эстафета мужества и мастерства найдет свое достойное продолжение.

А. ПОДОПРИГОРА.

# დედაქალაქის მეცხრე დღეობა

(დასასრული)

ტრადიციისამებრ, ახოხით ადამიანი შეიკრიბა 25 ოქტომბრის კვირა დილით საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე. აქ თბილისობის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

თბილისი მშვიდობიანი ქალაქია — ეს სახელი მან დაიმსახურა, როცა გახდა პარტნიორი ქალაქების მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი, დღეს რესპუბლიკის დედაქალაქს მეგობრული კონტაქტები აქვს საარბრიუკენთან და ინსბრუკთან, ლუბლიანასა და გრენობლთან, ევროპის, აგრეთვე ამერიკის კონტინენტის სხვა ქალაქებთან. თბილისი „ქალაქი — მშვიდობის დესპანის" სახელს სამართლიანად ატარებს. ესოდენ დიდი პატივი მას დედამიწის ორმოცდაათ ქალაქს შორის ხვდა, რომელთა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე ჩვენი მოსკოვი და ლენინგრადი, კიევი, მინსკი და ვოლგოგრადი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის. საქართველოს დედაქალაქისათვის ამ საპატიო წოდების მინიჭების დიპლომი 1987 წლის თბილისობაზე გადასცა ქალაქს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსკოვის საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა გ. ა. დნეპროვსკიმ.

ახოხით ადამიანის ტაშის გრიალში საპატიო მოქალაქეთა დიპლომები და სამახსოვრო მედლები გადაეცათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს ქეთევან ლომთათიძეს, ცნობილ ერევნელ ფიზიკოსს, ლენინური პრემიის ლაურეატს თინათინ ასათიან-დადაიანს, 1917 წლიდან პარტიის წევრს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ნიკოლოზ მახარაძეს, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს მუშას გრიგოლ ტერეშჩენკოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს სერგი დურმიშიძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს რაშიდ ბეიბუთოვს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, თბილისის კონსერვატორიის პროფესორს ზურაბ ანჯაფარიძეს.

დიდხანს არ შემწყდარა ამ დღეს თბილისის ძველ უბნებში სიმღერები და ცეკვები, სიცილი და მხიარულება, რითაც ასე უხვად დააჯილდოვა 1987 წლის თბილისობამ ყველა, ვინც მოვიდა ამ ლამაზ დღესასწაულზე, რესპუბლიკის დედაქალაქის მეცხრე დღეობაზე.



# ИНТЕРЕСНАЯ ВСТРЕЧА

На днях в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского состоялись творческие встречи с артистами Московского театра им. Ленинского комсомола. В гостях у сотрудников органов внутренних дел были народный артист РСФСР О. Янковский и заслуженный артист РСФСР А. Абдулов.

Эта творческая встреча запомнилась непосредственной искренностью общения артистов со зрителями, готовностью честно ответить на все вопросы, поделиться мыслями о переменах, происходящих в масштабе страны, о перестройке работы театральных коллективов.

Много интересного принесла и встреча со всеми любимым народным артистом СССР Е. Леоновым и заслуженным артистом РСФСР А. Збруевым, которые ответили на многочисленные вопросы зрителей, подарили им радость общения с настоящим искусством.

**Н. ЯШВИЛИ,**
**заведующая курсовой сетью Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского.**



**НА СНИМКЕ: народный артист СССР Е. Леонов.**

# ШАХМАТНЫЙ КОНКУРС

**ЗАДАНИЯ ВТОРОГО ТУРА**

**Вопрос № 2.**
**Когда была создана Международная шахматная организация? Сколько лет советская шахматная организация входит в ФИДЕ?**

**ЗАДАЧА № 2.**



**Белые начинают и дают мат в четыре хода.**

**ЭТЮД № 2.**



**Белые начинает и выигрывают.**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

**Руководители служб по борьбе с контрабандой и распространением наркотиков Италии, Австрии, Франции, Швейцарии, ФРГ, США, а также представители Интерпола провели совещание в итальянском городе Больцано. На состоявшейся там пресс-конференции участники встречи с тревогой отметили резкий рост контрабанды и распространения наркотиков в Западной Европе. Новый угрожающий факт — появление, в частности в ФРГ, Голландии и странах Северной Европы, подпольных «лабораторий» по производству так называемых «синтетических наркотиков».**



ზაალ მესხიშვილი — რომანი

# მზე ისევ გამოანათებს

**ოპერატიული** თათბირი გრძელდებოდა. პოდპოლკოვნიკი შოთა ჯაფარიძე დინჯად და დაწვრილებით მოახსენებდა მილიციის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ვახტანგ ვაშალომიძეს გლდანის მიმართულებით მე-12 კილომეტრზე მომხდარი შემთხვევის შესახებ.

ვაშალომიძე საწერ მაგიდასთან იჯდა. წინ ფერად საქაღალდეში აკინძული სქელი ორი ტომი ედო. აქეთ-იქით სუფთა ქაღალდები იყო გაშლილი. სამმართველოს უფროსი დროდადრო ამ ქაღალდებზე რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა.

— დაზარალებული, რომელიც ახლა სავადმყოფოშია მოთავსებული, ბერმუხის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ზურაბ ერგემლიძე აღმოჩნდა. ეს აქტი ჩვეულებრივი მკვლელობის მცდელობა არ უნდა იყოს. ფესვები უფრო შორს მიდის. აქ საქმე წინასწარ მოფიქრებულ ორგანიზებულ მკვლელობასთან გვაქვს. დაზარალებულის მდგომარეობა ძალზე კრიტიკულია. იგი პროფესორ ლუარსაბ ათონელის პალატაში წევს. მიღებულია ყველა ზომა მის გადასარჩენად.

— რას ამბობს ბატონი ლუარსაბი? — იკითხა ვაშალომიძემ, თავი ასწია და მზერა ჯაფარიძეს გაუსწორა.

— მოგეხსენებათ, ლუარსაბ ათონელი ცოტა ახირებული კაცია. პირდაპირ პასუხს არ გვაძლევს, მაგრამ, ყველა ზომას ღებულობს დაზარალებულის გადასარჩენად. თუ ამას მის უბადლო ოსტატობასაც დავუმატებთ უნდა ვიფიქროთ რომ...

— გასაგებია, — თქვა ვაშალომიძემ, — შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს და ყველა სხვა მასალებს გავეცანი, ძალიან ყურადღებით წავიკითხე. უნდა გითხრათ, კარგად გიმუშავიათ. არის ერთი მეტად საინტერესო დეტალი, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მე მხედველობაში მაქვს გასროლილი ცარიელი მასრა. ამ ყალიბის მასრები ჩვენს რესპუბლიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება. ამ მასრებს ომის დროს ფართოდ იყენებდნენ გერმანელი ფაშისტები. კერძოდ 7,65 კალიბრის „ვალტერის" სისტემის რევოლვერში. მკვლელი როგორც ჩანს ამ რევოლვერით „მოღვაწეობს". მე სპეციალურად გადავხედე უკანასკნელ ათ წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში ჩადენილ დანაშაულობათა სტატისტიკას. აღმოჩნდა, რომ ამ სისტემის იარაღით არცერთი მკვლელობა არ მომხდარა, ეს მეტად საყურადღებო ფაქტია მეგობრებო. დასკვნა ერთია, მკვლელი ან სხვა რესპუბლიკიდანაა ჩამოსული, ანდა მკვლელობის მცდელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა, მკვლელობა ჩაიდინა კაცმა, რომელიც დიდი ხანია ამ იარაღს მალავდა. ერთ დღეს დასჭირდა და გამოაჩინა კიდეც, ანდა სულაც სხვას ათხოვა. ერთი სიტყვით ყველაზე ნათლად ეს სამი ვერსია ისახება. ისიც გამაგებინეთ მეორე მანქანის ძებნის საკითხი როგორაა?

— ზომები მიღებულია, ავტოინსპექტორებს მიეცათ სათანადო ინსტრუქცია. პირველი შედეგები დილის ათ საათზე გვეცოდინება, მაშინვე მოგახსენებთ.

— ახლა ეს მითხარით ამხანაგო შეშაბერიძე, პოდპოლკოვნიკ კვიქინაძის მოხსენება მოვისმინე. უნივერმაღში და სოფელ ბერმუხაში საქმე სერიოზულად ყოფილა. აი კიდევ დამნაშავეთა ერთი ჯგუფი.

უფროსი ლეიტენანტი შეშაბერიძე სხარტად წამოხტა.

— წინასწარი გამოძიების, მოკვლევის ყველა მასალა დამუშავებულია. მე ვფიქრობ დამნაშავეთა დიდი საქმე გავხსენით. სანქციისათვის მასალები დღეს უნდა წარვუდგინო პროკურორს.

— როგორ ფიქრობთ ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ბერმუხის მერძეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობისა და მთავარი უნივერმაღის ნაძირალათა საქმეს რაიმე კავშირი ხომ არა აქვს ქალაქგარეთ, გლდანის მიმართულებით მოწყობილ განზრახ მკვლელობის მცდელობასთან. ხომ არ გეჩვენებათ რომ ამ ორი სპექტაკლის გმირები ერთი და იგივე ადამიანები არიან.

შეშაბერიძემ ვაშალომიძეს თვალი გაუსწორა და მტკიცედ თქვა:

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ყველა ამ საქმეთა მომწყობნი ერთი და იგივე პირები არიან. მე თან მაქვს სოფელ ბერმუხის მშრომელთა ჩვენებები. ისინი წერენ, რომ ზურაბ ერგემლიძე სოფლის თვალი იყო და აშკარად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც ჩირქს ცხებდა სოფელს. მე აგრეთვე თან მაქვს ამონაწერი საბჭოთა მეურნეობის საერთო კრების ოქმიდან და კიდევ მრავალი საბუთი იმის შესახებ თუ როგორ ამხელდა ერგემლიძე კომბინატორებს. მე ვფიქრობ ამხანაგო პოლკოვნიკო, ეს საქმე უნდა გაერთიანდეს.

ვაშალომიძე ტელეფონთან მივიდა, ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— ამხანაგო მაიორო, „შიფროვკა" თუ მზადაა ახლავე ჩემთან შემოიტანეთ. აბა გელოდებით.

მალე შველიძეც შემოვიდა. ვაშალომიძემ ქაღალდი ჩამოართვა და თვალი ოპერატიულ მუშაკებს მოავლო.

— აბა, ეს „შიფროვკაც" წავიკითხოთ.

„თქვენი შეტყობინების პასუხად გაცნობებთ, რომ 7,65 კალიბრის რევოლვერით მკვლელობას უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი. მკვლელობა ჩაიდინა საპატიმროდან გაქცეულმა დამნაშავემ აშოთ არშაკის ძე მარკაროვმა, იგივე შოთა არშაკის ძე მარკარაშვილმა. მან გაძარცვის მიზნით მოჰკლა ფსკოვის ოლქის სოფელ ილევსკის მცხოვრები 74 წლის ოლგა პროხორის ასული ზელენცევა. მკვლელობის შემდეგ დამნაშავე მიიმალა... მკვლელზე გამოცხადებულია საკავშირო ძებნა. რას იტყვით ამხანაგებო? საქმე თურმე საშიშ დამნაშავესთან გვქონია.

— ახლავე უნდა ამოვიღოთ მარკაროვზე გამოცხადებული საკავშირო ძებნის მასალები... ვფიქრობ მისი მოძებნის საქმეში არა მარტო განყოფილებათა მუშაკები, არამედ ჩვენი აპარატის თანამშრომლებიც უნდა ჩავაბათ. ქალაქში პროფესიონალი მკვლელი დადის! — თქვა ჯაფარიძემ და ვაშალომიძეს გადახედა.

— დიახ! სწორია ქალაქში პროფესიონალი მკვლელი დადის. მას ყოველ წუთს შეუძლია ახალი დანაშაული ჩაიდინოს. სწორია ამხანაგ ჯაფარიძის აზრი, მთელი ჩვენი კოლექტივი უნდა დავრაზმოთ მარკაროვის რაც შეიძლება სწრაფად შესაპყრობად. ამხანაგო ჯაფარიძე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სასტუმროებს. მარკაროვი ალბათ შეცვლილი გვარით რომელიმე სასტუმროს აფარებს თავს, ყველა სასტუმროში გამოცდილი მუშაკი გაგზავნეთ.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. № 12-17.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 08455